საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 430 2017 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კავკასიის ფრანგული სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ“ შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2017 წლის 31 აგვისტოს ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კავკასიის ფრანგული სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ“ შეთანხმება.

მუხლი 2.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს საფრანგეთის რესპუბლიკის მხარეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი